

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დემატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება გამომდინარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული ქმედებების კრიმინალიზაცია და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა აღნიშნულ კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო წესით სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებს ემატება ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების დაკავშირებულ პირზე გავრცელების საქმეები.

ასევე პროექტით კოდექსს ემატება XLIV² თავი, რომლითაც დეტალურად არის გაწერილი ამ კატეგორიის საქმეთა წარმოების წესი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების

აღსრულება. მოსამართლე პირს ცნობს დაკავშირებულ პირად, თუ სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ არსებობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები.

დაკავშირებულ პირად ცნობა იწვევს მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდევინების (ქონების ჩამორთმევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში – ექვივალენტური ღირებულების ქონების ჩამორთმევის ან თანხის გადახდევინების) აღსრულების მიქცევას დაკავშირებული პირის ქონებაზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ ზემოაღნიშნული აღსრულების მიქცევა დაკავშირებული პირის ქონებაზე არ გამორიცხავს მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირისთვის ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდევინების შემთხვევაში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, რამდენადაც დაკავშირებულ პირს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა ან ქონების ჩამორთმევა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მიმართ სანცქიების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუძღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი და მურთაზ ზოდელავა .

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი და მურთაზ ზოდელავა.